

WIC NEWS

DIGEST

It`s not only about women,
it`s about information!

ქალთა საინფორმაციო ცენტრი



გენდერული პოლიტიკა ბანდარის მრჩეველები 39 მუნიციპალიტეტში

ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და კოალიციის ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის ერთობლივი ძალისხმევით, 2013 წლის ივლისში სახელმწიფო უწყებებში გენდერის მრჩეველის თანამდებობის შემოღების ინიცირება მოახდინა. გენდერის საკითხებში მრჩეველის არსებობა ხელს შეუწყობს ქალთა აქტიურად ჩართვას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალის როლის გაძიერებას საჯარო სამსახურში და იმ საერთაშორისო თუ ეროვნული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც საქართველოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით აკისრია.

(გაგრძელება შემდეგ გვ.)

გინაარსი

- გენდერული პოლიტიკა
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა
- ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის
- პრობლემების აღმოკატირება
- გენდერული ძალადობის წინააღმდეგ
- საერთაშორისო ვალდებულებები
- საკანონმდებლო ინიციატივები
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

ინიციატივას პირველი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოცხადებულა. პირველი მრჩეველი, კახაბერ ცეცხლაძე, სწორედ აღნიშნულ უწყებაში დაინიშნა. დღეს იგი აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო უწყებებში გენდერული მენისტრიმინგის პროცესში და მხარს უჭერს მრჩეველების დანიშვნას ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციით, 2013 წლის ბოლოსთვის, საქართველოს მასშტაბით, გენდერის საკითხებში მრჩეველი 39 რაიონში ბრძანებით დაინიშნა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან გამოიყოფა ცალკე შტატი მრჩეველისთვის. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია ოქსფამთან ერთად, მრჩეველთა სათანადოდ მომზადებაზე ზრუნავს. მრჩეველთა მომზადების პროცესში აქტიურადაა ჩართული გაეროს ქალთა ორგანიზაცია.



ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კოალიციის წევრები ბენდარულ საკითხებში მრჩეველებს შეხვდნენ



OXFAM

კოალიციის "ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის" ინიციატივით, 2013 წლის 29 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ თამარ ჩუგოშვილი - პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერის საკითხებში, კახაბერ ცეცხლაძე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველი გენდერის საკითხებში, მანანა ილურიძე - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი გენდერულ საკითხებში, კოალიცია ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის და ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკა და სამომავლო გეგმები, კოალიციის ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის წევრებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია და ისაუბრეს

სამომავლო გეგმებისა და შიდა ქართლისთვის პრიორიტეტული საკითხების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტში გენდერის მრჩეველების დანიშვნის ინიცირება, სწორედ, „ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა და „კოალიცია ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის“ წევრებმა მოახდინეს.

შეხვედრა შედგა პროექტის "გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების გზით" ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქსფამის" მხარდაჭერით.



სტრატეგიული დაგეგმარება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის

კოალიციის "ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის" განვითარების და ზოგადად, პოლიტიკაში ქალების გაძლიერების სტრატეგიის შემუშავების მიზნით ქალთა საინფორმაციო ცენტრმა შეხვედრები გამართა. შეხვედრები ჩატარდა 3 ეტაპად, პირველი შეხვედრა გაიმართა ქალთა საინფორმაციო ცენტრის ოფისში, პროექტის აღმასრულებელ გუნდთან 8 ნოემბერს. მეორე შეხვედრა შედგა 2013 წლის 14 ნოემბერს, ქალაქ გორში, „არტ კაფეში“, რომელსაც ესწრებოდნენ კოალიცია ქალთა პოლიტიკური ჩართულობისთვის წევრები, ხოლო შეხვედრას უძღვებოდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწვეული ტრენერ-კონსულტანტი.

შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა 10 დეკემბერს. გამოიკვეთა კოალიციის მიღწევები, საჭიროებები და არსებული გამოწვევები. განისაზღვრა სამომავლო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. მონაწილეებმა იმსჯელეს კოალიციის როლსა და დანიშნულებაზე ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კოალიცია ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის შეიქმნა პროექტის "გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების გზით" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქსფამის" მხარდაჭერით.



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის

ტრენინგები სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის



United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ქალთა საინფორმაციო ცენტრი აგრძელებს ტრენინგების ჩატარებას პროექტის "ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის" ფარგლებში. ტრენინგების მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და სათემო მუშაკების ცნობიერების ამაღლებას და გენდერში მათი ცოდნის გაღრმავებას.

2013 წლის სექტემბერში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლებს ტრენინგი ჩატარდათ თემაზე "სოციალური პოლიტიკა გენდერულ ჭრილში", ხოლო ზუგდიდისა და სამტრედიის ადგილობ-

რივი თვითმმართველობების წარმომადგენლებსა და სათემო მუშაკებს - თემაზე "გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და მისი იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე".

ოქტომბერში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლებისა და პროექტის იურისტებისთვის თემაზე "ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ კონვენცია და გენდერული თანასწორობის პრინციპები" ჩატარდა ტრენინგი.

”ერთი ფანჯრის პრინციპის” დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე

პროექტის ”ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში” ფარგლებში დეკემბერში გამართულ ტრენინგზე ერთი ფანჯრის პრინციპით შეხვედრების შედეგები შეჯამდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა. მოხდა შედეგების, მიღწევების, სირთულეების და გამოწვევების, ასევე ცალკეული შემთხვევების განხილვა.

ტრენინგის მონაწილეებმა ისაუბრეს ერთი ფანჯრის პრინციპის, როგორც საჭიროებების გამორკვევისა და პრობლემების გადაჭრის ეფექტური საშუალების ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დანერგვის შესახებ. ადგილზევე გადაწყდა, რომ სამტრედიისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში აღნიშნული მეთოდი უმოკლეს ვადაში დაინერგება და შეხვედრებში მონაწილეობის მიღებას არა მარტო დევნილი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც შეძლებს.

პროექტი ”ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ქალთა

საინფორმაციო ცენტრის და ფონდი ”ტასოს” მიერ, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, საქართველოში გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.



პრობლემების ადვოკატირება შეხვედრები დევნილთა პრობლემების გადაჭრის მიზნით

ქალთა საინფორმაციო ცენტრი 2010 წლიდან იყენებს ერთი ფანჯრის პრინციპის მეთოდოლოგიას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად. 2013 წელს პროექტის ”ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის” ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა თბილისის, გორის, თეთრიწყაროს, მარნეულის, სამტრედიის და ზუგდიდის მუ-

ნიციპალიტეტებში.

ოქტომბერში ერთი ფანჯრის პრინციპით შეხვედრა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართა, ხოლო დეკემბერში – მარნეულსა და თეთრიწყაროში. შეხვედრებზე განხილული იქნა ოცი შემთხვევა. პროექტის ორგანიზატორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ძალისხმევით, პრობლემების ნაწილი უკვე გადაიჭრა.

პროექტი ”ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“ ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ქალთა საინფორმაციო ცენტრის და ფონდი ”ტასოს” მიერ, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების ქალთა ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის მხარდაჭერა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, საქართველოში გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით.



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

იურიდიული დახმარება პანკისელ ქალებს



KVINNA TILL KVINNA

ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები პროექტის "გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია საქართველოში გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში სოფელ დუისის ესტუმრნენ და ქისტ და ჩეჩენ ქალებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ორგანიზაციის წარმომადგენლები გაეცნენ ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქალების პრობლემებს. ქალთა საინფორმაციო ცენტრის იურისტი პანკისელ ქალებს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ესაუბრა და ადგილზევე გაუწია მათ უფასო იურიდიული კონსულტაცია.

განათლების უფლება, მოქალაქეობის მიღება, ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქალთა უმეტესობისთვის. არსებული ვითარების გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

პანკისელი ქალების ინფორმირებას მათი უფლებების და სახელმწიფო სერვისების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს კონკრეტული შემთხვევები, რომელთაგან ოთხი, დღეის მდგომარეობით, პოზიტიურადაა გადაჭრილი, ნაწილის მოსაგვარებლად კი ქალთა საინფორმაციო ცენტრმა უკვე მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სხვა შესაბამის უწყებებს.

აღსანიშნავია, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრის ძალისხმევით, პანკისში უკვე დაინიშნა გენდერის მრჩეველი, რაც ხელს შეუწყობს ქალთა საკითხების წინ წამოწევას და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროექტი "გენდერულად სენსიტიური ინფორმაცია საქართველოში გენდერული თანასწორობისთვის" ხორციელდება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, საერთაშორისო ფონდ "კვინა ტილ კვინას" მხარდაჭერით.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ "მამაკაცური საუბრები" რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა ახალი პროექტი "თემების მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის" დაიწყო. 26-27 დეკემბერს პროექტის პირველი ღონისძიება, "მამაკაცური საუბრები", პანკისის ხეობაში გაიმართა.

ტრენინგის მიზანია მამაკაცების ინფორმირება გენდერული და ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის მიმართ მათი სენსიტიურობის გაზრდა. "მამაკაცური საუბრები", თავისი მნიშვნელობით, გამორჩეული ტრენინგია. ქალთა საინფორმაციო ცენტრი აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ასაკის მამაკაცებთან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, მათი ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის მიზნით.

"მამაკაცური საუბრები" ტარდება ცნობილი ტრენინგის, მიშელ კაუფმანის რეგიონული ტრენინგ კურსის მიხედვით. ტრენინგს უძღვებოდა ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი მამუკა გაჩეჩილაძე, რომელიც არის გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილი ტრენინგის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

პროექტი "თემების მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის" ხორციელდება ქალთა საინ-

ფორმაციო ცენტრის მიერ ევროკავშირის დაფინანსებით, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან პარტნიორობით. პროექტის მიზანია პანკისის ხეობის მოსახლეობის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების და ლტოლვილების ცნობიერების ამაღლება ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ.



ქალთა საინფორმაციო ცენტრი

საერთაშორისო ვალდებულებები

უნივერსალური პერიოდული ანგარიში

უნივერსალური პერიოდული ანგარიშის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა შუალედური შედეგები საქართველოს მთავრობის მიერ უნივერსალური პერიოდული ანგარიშის რეკომენდაციების შესახებ.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი ერთ-ერთია იმ ხუთ ორგანიზაციას შორის, რომელიც აქტიურად იყო ჩართული რეკომენდაციების მომზადებაში ქალთა უფლებების მიმართულებით. დოკუმენტი 2013 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა.

<http://www.upr-info.org/followup/assessments/session23/georgia/MIA-Georgia.pdf>

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

ეთერშია "გენდერი და საზოგადოება"

ქალთა საინფორმაციო ცენტრი, საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადაცემათა ციკლს ამზადებს. "გენდერი და საზოგადოება" 2013 წლის შემოდგომაზე რეგიონული ტელეკომპანიების ეთერში დაბრუნდა. პროექტების "ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის" და "გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების გზით" ფარგლებში გადაცემები გავიდა ტელეკომპანია "თრიალეთის" (გორი) და ტელეკომპანია "რიონის" (ქუთაისი) ეთერში.

რადიოგადაცემას "გენდერი და საზოგადოება" ეთერი პირველმა რადიომ (FM 106.4) დაუთმო.

გადაცემების სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, პროექტების ბენეფიციარები.

როგორც ტელე, ასევე რადიოგადაცემებში, წამყვანებმა და სტუმრებმა ისაუბრეს დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების საჭიროებებისა და პრობლემების, ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განსახლების შესახებ. გადაცემების ნაწილი ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას დაეთმო.

2014 წლისთვის "გენდერი და საზოგადოება" ქალთა საკითხებით დაინტერესებულ მაყურებელსა და მსმენელს ბევრ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს.

საკანონმდებლო ინიციატივები

შრომის კოდექსის გენდერული ანალიზი და რეკომენდაციები

2013 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გაეროს განვითარების პროგრამის თანამონაწილეობით გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს შრომის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი.

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა მოახდინა საქართველოს შრომის კოდექსის გენდერული ანალიზი და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელიც სამინისტროს წარედგინა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ შეიმუშავებული ცამეტი რეკომენდაციიდან ათი გაითვალისწინა.

"დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ აქტიურად იყო ჩართული კანონპროექტის განხილვის პროცესში; ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

ქალთა საინფორმაციო ცენტრმა შეიმუშავა საკუთარი რეკომენდაციები კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც ავტორებს წერილობით წარუდგინა.

2013 წლის 17 დეკემბერს გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, - იუსტიციის სამინისტრომ წარმოადგინა კანონპროექტის საბოლოო, შეჯერებული ვერსია, სადაც „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი გათვალისწინებულია.



40, Tsinamdzhvishvili Str Tbilisi, 0102 Georgia

Phone: +995 32 295 29 34

Fax: +995 32 294 26 99

office@ginsc.net

wicge.org

ginsc.net

fb.com/WICgeorgia